ასაკი თვეების ხანის ფონდი

~~206~~
205

287 1 205

287 1 205

დასკანირებულია
16.01.2025

„ლიტერატურული საქართველო", 1965, 20/VIII, №-33

ცნობილი ადამიანები ჩვენი ქალაქიდან

ქურნალისტობიდან — დოქტორობამდე

ულმაძლიან ხიხარულს, კმაყოფილებას, მოკრძალებულ შინაგან ვალმოხდილებას ამოიკითხავთ მის წუწლიან თვალებში. დაძაბული შრომის, ლიტერატურულ-მეცნიერული ძიების პირველი დიდი ეტაპი დასახული მიზნის შესანიშნავ დაგვირგვინებად იქცა—ჩვენს ღირსეულ თანამემამულეს აკაკი სარდიონის-ძე თოფურიას ფილოლოგიური მეცნიერების დოქტორის საპატიო წოდება მიენიჭა.

ეს ჭეშმარიტად დიდი შემართებაა ისეთ გოლიათურ გზაზე, რომელსაც მეცნიერება ჰქვია თავის მრავალსახოვანი დარგებით და რომლის მწვერვალებისაკენ წარმატებითი სვლა მხოლოდ ნიჭთან და ტალანტთან ერთად უზადო შრომისმოყვარეობას, წებისყოფის სიმტკიცეს მოითხოვს. ყოველივე ეს ბედნიერ მთლიანობაში მოაქცია მისმა პიროვნებამ და შესაძლებლობა მიეცა შედარებით მოკლე დროის მანძილზე საკმაოდ სოლიდური მეცნიერული ზღუდე აეღო.

მაგრამ ამჯერად დროებით გადავუხვიოთ ამ ხაზს და მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადრინდელ ამბებს გავკვრით მაინც შევეხოთ. ეს მით უფრო აუცილებელია, რადგან იმ პერიოდს გარკვეული საფუძველი მიუცია შემდგომში დიდ სარბიელზე გამოსვლისათვის.

პირველად პედაგოგობას ეზიარა აკაკი თოფურია, შემდეგ უურნალისტობამ გაიტაცა და მშვენიერი ერუდირებაც მიიღო. სამამულო ომამდე ორი წლით ადრე იგი ჩვენი გაზეთის რედაქციაში მუშაობდა და თავისი საუცხოო ლექსებით, ნარკვევებით, თეატრალური რეცენზიებითა და საგაზეთო სტატიებით მკითხველთა უურადღებას იმსახურებდა.

აკაკი თოფურია

* * *

ომი რომ დაიწყო, აკაკი საკმაოდ დახელოვნებული უურნალისტი და ახლის მაძიებელი ახალგაზრდა იყო. ალბათ, მაშინაც მის გონებაში ისახებოდა მომავალი გზის კონტურები და თვითონაც ემზადებოდა სტატის ასაღებად, მაგრამ ომმა, ბევრ სხვასავით, მასაც შეუცვალა გეზი.

იმ დროის კოლეგებს კარგად გვახსოვს, თუ როგორი პატრიოტული მგზნებარება ჩააქსოვა კომუნისტმა უურნალისტმა აკ. თოფურიამ მაშინ ლექსში „დამშვიდობება", რომელიც ჩვენს გაზეთში, აგვისტოს პირველ რიცხვებში დაიბეჭდა (1941 წ.).

წარმატებით დაამთავრა რა თელავის 6-თვიანი სამხედრო სასწავლებელი, იგი ლეიტენანტის წოდებით ჩაება გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში. აკაკი იბრძოდა ჭალარა კავკასიონის მისადგომებთან, არაერთხელ მიუღია ჭრილობა, მაგრამ ბრძოლის ველი არასოდეს დაუტოვებია. მცირედი შესვენებისას მხედრული ჩანთიდან მას რომელიღაც წიგნი, რვეული და ფანქარი ამოჰქონდა და თავისთვის კითხულობდა, წერდა. თურმე მაშინ დღიურების ხასით იწერდა დენთის სუნით გაუღენთილი დღეების ამბებს, რათა შემდეგ სხვებისათვის მოეთხრო.

და როცა არშიიდან დაბრუნდა, მან საკმაოდ ხვავრიელი საგზალი მოიტანა თან — რამდენიმე ფრონტული ლექსი და ნოველა დაბეჭდა როგორც ადგილობრივ გაზეთში, ისე რესპუბლიკურ პრესაში. მათ შორის საუცხოო ნოველა „ყაბარდოელი დარიკო" ჯერ „მგზნებარე კოლხიდელში" გამოაქვეყნა, ხოლო უფრო მოგვიანებით „ლიტერატურულ გაზეთში".

ომიდან აღარ დარჩენილა ფოთში. მან ადრინდელი მიზნის განხორციელებას ერთბაშად მოჰკიდა ხელი და მერე როგორ!

მუშაობდა გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციაში და საკმაოდ შრომატევად სამუშაოს გონივრულად უთავსებდა ასპირანტურაში სწავლას, ჯერ მინიმუმის წარმატებით ჩაბარებას და შემდეგ საკანდიდატო დისერტაციის მომზადებადაცვას საშუალო სკოლაში მხატვრული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაზე.

სწორედ ამ მეტად აქტუალურ პრობლემაზე აკ. თოფურიამ შექმნა საუცხოო ნაშრომი „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა" (I და II წიგნი, გამომცემლობა „ცოდნა", 1956, 1958 წ. წ.). ეს ნაშრომი საუკეთესო დასაყრდენია პედინსტიტუტების ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებისა და მასწავლებელთათვის.

1960 წელს აკ. თოფურიამ გამოსცა წიგნი „წერილები ლიტერატურულ საკითხებზე", რომელსაც მკითხველმა საზოგადოებამ მოწონებით მიიღო.

ათ წელზე მეტია აკ. თოფურია ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას პედინსტიტუტებში. პირველად ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კურსს კითხულობდა ცხინვალის ინსტიტუტში, ხოლო შემდგომში — ა. ს. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში. 1963 წლიდან იგი გადმოვიდა ახლადშექმნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის კათედრაზე, ხოლო იმავე წლის დეკემბერში მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის ძირითადი საფუძვლები".

ეს საკმაოდ დიდი მოცულობის ნაშრომია, რომელსაც მაღალი შეფასება მიეცა ოფიციალური ოპონენტების აკადემიკოს გ. ჯიბლაძის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ს. ჭილაიას და პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის ს. სიგუას რეცენზიებში და გამოსვლებში, აგრეთვე დაცვის მონაწილე კათედრის წევრთა სიტყვებში.

აკ. თოფურია აქტიურად თანამშრომლობს რესპუბლიკურ უურნალ-გაზეთებში („ლიტერატურული გაზეთი", „მნათობი", „ცისკარი" და სხვ.), მათ შორის ახლო კავშირი აქვს ჩვენს გაზეთთან.

უაღრესად დაძაბული შრომისა და ამ შრომის შედეგად მიღებული დოქტორობის წოდების პირველ პერიოდში აკ. თოფურიას თითქოს ჯანმრთელობამ უმტყუნა — დროებითი შესვენება მიიღო. ამ პერიოდში უფრო საგრძნობი გახდა კიდევ ერთი კარგი თვისება მისი — ხალასი ამხანაგობისა და მეგობრობის ვალდებება. პირადად მინახავს მის ბინაზე რამდენჯერმე მისულნი სხვადასხვა დარგის გამოჩენილი მეცნიერები, მათ შორის მისი განუყრელი მეგობრები შ. ძიძიგური, ალ. ღლონტი, ს. ჭილაია, ვ. ზამბახიძე, ე. ჭარელიშვილი, ვ. თორდუა და სხვები, მეგობრული ალერსით რომ საუბრობდნენ. მერე, ხომ ფოთში, კერძოდ მალთაყვის კლიმატმა ყველას აჯობა და მის სულსა და გულს შვება მოჰგვარა. შინაურების და განსაკუთრებით ამაგდარი დედის მატრონეს სითბომ ყოველივე სახარგებლო გაუკეთა მას და, საბოლოო ანგარიშით, აკაკი სავსებით ენერგიული და მაღალი ერუდიციით შთაგონებული აგრძელებს თავის ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

წინ კიდევ დიდი გზებია და ამ გზებიც მოსათოკავად მას ყოველივე გააჩნია — დიდი ნიჭიერება, დიდი შრომისმოყვარეობა, ახლის უნარი, უტყუარი მეცნიერული ალღო და ერუდირება. კვლავაც მიგველოცოს მისთვის ახალი წარმატებანი!

კარლო კომახიძე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოსტუდია „დეფა“ იღებს ფილმს, რომელიც ასახავს გერმანიის პროლეტარიატის ბელადის კარლ ლიბკნეხტის ცხოვრებას და მოღვაწეობას. ფილმს დგამს რეჟისორი გიუნტერ რაიში. ლიბკნეხტის როლს ასრულებს თეატრ „ბერლინერ ანსამბლის“ მსახიობი ჰორსტ შულცე.

სურათზე: კარლ ლიბკნეხტი კითხულობს სასწრაფო გამოშვებას — „მკვლელობა სარაევოში!“ მარჯვნივ დგას დურგალი (მსახიობი ჰანს ჰარდტლოფი).

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ცოვ-ცოვა ყველაფერზე

ხშირად, როცა შვეიცარიის კურორტებზე ზამთარი დაიგვიანებს, ტურისტული ბაზების მეპატრონეები იძულებული არიან სათხილამურო ტრამპლინებისათვის თოვლი საზღვარგარეთიდან შემოზიდონ.

ამან საგონებელში ჩააგდო საბაჟოს ჩინოვნიკები, რომლებიც, როგორც წესი, იმპორტის ყოველ საქონელზე ბაჟს იღებენ. მათ თხოვნით მიმართეს მთავრობას თუ როგორ დაებეგრათ თოვლი. დიდი დავის შემდეგ გადაწყდა, საბაჟოს დაბეგვრა თოვლზე არ გავრცელებულიყო.

* * *

ორი წელია, რაც ნიუ-იორკის მცხოვრები ჯიმ ბაკი მუშაობს ახალ თანამდებობაზე, რომელიც წინანდელზე ორჯერ უფრო სარფიანია. ჯინი ასეირნებს ორმოც ძაღლს, რომლებიც მდიდართა ოჯახებს ეკუთვნიან. საზღაურს იგი იღებს იმისდამიხედვით, თუ რამოდენა და რა ხასიათისაა ესა თუ ის ძაღლი.

* * *

ალდერუსი პატარა კიბორჩხალია, რომელსაც მარწუხებში წყალსატყორცნი მოწყობილობა აქვს. ეს თავდასხმის იარაღი შედგება პატარა სარქველიანი ღრუსაგან. კიბორჩხალი მარწუხს უმიზნებს თევზს და აბრუებს მას წყალსატყორცნიდან გასროლილი წყლის ჭავლით. ამ დროს სარქველი გამოსცემს ტკაცუნის ხმას, რომელიც ზედაპირზეც ისმის და აადვილებს კიბორჩხლებას აღმოჩენას.

* * *

სამი წელია ამერიკის შეერთებული შტატების 1.200 სკოლა ღებულობს ტელეხედვის სასწავლო პროგრამებს, რომლებიც რეტრასლირებულია თვითმფრინავების ბორტიდან. ამ მიზნით 900 სახმელეთო სადგურის ნაცვლად გამოყენებულია 33 თვითმფრინავი.

* * *

პოლონელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ შესაძლებელია კვამლისაგან... სახლის გაკეთება. ფილტრების მეოხებით იჭერენ ფაბრიკა-ქარხნების კვამლის შემადგენელ მავნე ნაწილაკებს. შემდეგ ამ მტვერს ურევენ ქვის ფქვილსა და ალუმინის ფხვნილს. ამრიგად ღებულობენ შესანიშნავ მასალას ფორებიანი აგურისა და სხვა სამშენებლო ელემენტების დასამზადებლად. პირველი ასეთი ფილტრი იდგმება აზოტის კომბინატში ქალაქ პულავის მახლობლად.

ვოდევილების საღამო

დღეს კულტურისა და დასვენების საზაფხულო პარკის მწვანე დარბაზში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მხატვრული ბრიგადა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ალექსანდრე ტურიაშვილის მონაწილეობით გამართავს ვოდევილების საღამოს.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ჭვეყნებში

სპორტი

მაჯჩები და შედეგები

ჩატარდა მორიგი მატჩები „ა“ კლასის 1-ლი ჯგუფის გუნდებისათვის.

მოსკოვის დინამოელებმა თავიანთ მოედანზე დიდი ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ოდესელი არმიელები.

დაძაბულ ორთაბრძოლაში მინსკის „დინამომ“ ანგარიშით 1:0 მოუგო თბილისელ თანაკლუბელებს.

სუსტად ითამაშა ქუთაისის „ტორპედომ“ ოდესაში ადგილობრივ „ჩერნომორეცთან“. ტორპედოელები დამარცხდნენ ანგარიშით 1:4.

აღმავლობით ჩაატარა მატჩი ცსკამ, რომელმაც დაამარცხა ძლიერი მეტოქე — კიევის „დინამო“. ანგარიშია 2:1 მოსკოველ არმიელთა სასარგებლოდ.

ორი მატჩი („ზენიტი“ — „შახტიორი“, „კრილია სოვეტოვი“ — მოსკოვის „ტორპედო“) დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

ნახეთ ცისფერ ეკრანზე

პარასკევი, 20 აგვისტო

დ ი ლ ი თ

მათთვის, ვინც მეორე ცვლაშია

11.00 კინონარკვევები.

12.00 მხატვრული ფილმი **„როცა სიმღერა არ თავდება“.**

ს ა ღ ა მ ო ს

18.00 დოკუმენტური ფილმი **„ძმები ვასილიევები“.**

19.20 კომკავშირული ტელეპროექტორის შუქზე.

19.50 გადაცემა — **„სპორტი და ჭალები“.**

21.20 მხატვრული ფილმი **„როცა სიმღერა არ თავდება“.**

დღეს კინოებში

ქალაქის საზამთრო და საზაფხულო კინოთეატრებში ნაჩვენები იქნება ახალი მხატვრული ფილმი **„ხვალინდელ ქუჩაზე“.**

მეუღლე ოლია, შვილები: ალიოშა, გრიშა და ლუბა მიქაძეები, რძალი ვარდო, სიძე ავთანდილ წულაია, შვილიშვილები: ნოდარი, ზურაბი, ვაჟა, გიული და ომარი, და ანეტა ჯანგველაძე, დისშვილები: თინა, ბიძინა, ქსენია ოჯახით, ცოლისძმები ლევან და ვანო დავითაიები ცოლშვილით, დები: ანეტა ქოიავა, ლენა კოკაია ოჯახებით და ახლო ნათესავები იუწყებიან **ნესტორ მაქსიმეს-ძე მიქაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 22 აგვისტოს, კუნძულია სასაფლაოზე. გამოსვენება მარქსის ქ. № 30, პანაშვიდი 21 აგვისტოს საღ. 8 ს.

სვანეთის ქუჩის მცხოვრები ახლო მეზობლები თანაუგრძნობენ ლუბა და ავთანდილ წულაიებს **მამის ნესტორ მიქაძის** გარდაცვალების გამო.

მე-5 საშ. სკოლის პედკოლექტივი ეზიარებს კლარა და სოსო თავართქილაძეების, ნინა და ვანო ბაბილუ-